სპორტული მატიანის იღბლიანი დასაწყისი



ზუგდიდში მწყობრში ჩადგა ახალი სასროლეთი, რომელიც მესტენდურეებს მოემსახურება. აქ არის ორი კომბინირებული მოედანი, გასახდელები, სასტუმრო ოთახები, მაყურებელთა ტრიბუნები. სპეციალისტთა აზრით, ეს სპორტული კომპლექსი საუკეთესოა მთელს რესპუბლიკაში. სასროლეთი საოცრად მოკლე დროში — სამ თვეში აშენდა, რაც პარტიის ზუგდიდის ქალაქკომის დიდი დახმარებისა და ზრუნვის შედეგია. სპორტული ბაზა ააშენა მშენებლობის სამინისტროს მეთორმეტე ტრესტის მესამე სამშენებლო სამმართველომ (ტრესტის მმართველი ს. შელია, სამმართველოს უფროსი ჯ. ჯანტურია). პროექტის ავტორია რესპუბლიკის სპორტკომიტეტის საპროექტო-სამშენებლო სამმართველოს არქიტექტორი ს. ჯაფარიძე. მშენებლებს ეხმარებოდნენ: „ენგურქაღალდკომბინატი“, ზუგდიდის № 1 ავტოსატრანსპორტო საწარმო, ენგურმშენის სამოქალაქო მშენებლობის სამმართველო, 138-ე მოძრავ-მექანიზებული კოლონა.

ახალი სპორტული ბაზის გახსნა ნამდვილ სახალხო ზეიმად გადაიქცა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 132 (7693)

11 ივლისი, ოთხშაბათი, 1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

ზეიმი დამთავრდა, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა გოგო-ბიჭებმა მოედანი დატოვეს. ტრიბუნებზე გადაინაცვლეს ძიუდოისტებმა, აკრობატებმა, ველოსიპედისტებმა. მიწყდა დოლ-გარმონის ხმა, რეპროდუქტორიც გამორთეს. ახლა სტუმრებიცა და მასპინძლებიც მოუთმენლად ელოდებიან მესტენდურეების გამოჩენას — ცოტა ხანში აქ პირველი თეფში გატყდება, რითაც ახალი სპორტული კომპლექსის მატიანეს უნდა ჩაეყაროს საფუძველი.

სხვისი არ ვიცი და მე კი მღელვარებამ შემიპყრო: „პირველი თეფში აუცილებლად უნდა გატყდეს, იმ პირველს არ უნდა ააცდინონ...“ — ვფიქრობ და ჩემსავე ნაფიქრზე მეცინება, მაინც რა ცრუმორწმუნეები ვართ ადამიანები... მერე კი, როცა სანგრიდან სასინჯი თეფში ამოაფრინეს, ტრიბუნებზეც გადაირბინა ეჭვისა თუ უიმედობის ჩურჩულმა — პლასტმასის მომცრო, შავი საგნები სწრაფად მიქროდნენ და თვალის დახამხამებაში იკარგებოდნენ რუხის ამწვანებულ ჰალაში.

კაცმა რომ თქვას, იმისთვის, ვისაც ერთხელაც არ სჭერია ხელში სანადირო თოფი და ძაღლის ნაბულზე ერთხელაც არ ასჩქროლებია გული, ძნელია მესტენდურის სიმარჯვის, მისი ოსტატობის ჯეროვანი შეფასება. მაგრამ იმ დღეს ტრიბუნებზე ბევრი ცნობილი ზუგდიდელი მონადირე იჯდა, რომელთაც მშვენივრად იცოდნენ მარჯვე სროლისა და ჩუბინის ფასი.

სწორედ ამიტომ ელოდნენ ისინი განსაკუთრებული მღელვარებით საქვეყნოდ ცნობილი მესტენდურეების, სპორტის დამსახურებული ოსტატების, საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონების ტარიელ ქლენტისა და თამაზ იმნაიშვილის გამოჩენას, რომლებმაც სულ რამდენიმე დღის წინათ ესპანეთში კიდევ ერთხელ მოიპოვეს ევროპის ჩემპიონთა ტიტული მრგვალ სტენდზე სროლაში. მათ ბაქოელ ვალერი ტიმოხინთან ერთად სარაგოსას სასროლეთზე 450 შესაძლებლობიდან 447 ქულა მოაგროვეს და ევროპის ძველ რეკორდს 11 ქულით გადააჭარბეს.

ახალი სპორტული ბაზის გახსნისადმი მიძღვნილ იმპროვიზებულ საჩვენებელ გამოსვლაში ტარიელ ქლენტისა და თამაზ იმნაიშვილის მონაწილეობამ სტუმართა და მასპინძელთა საერთო ინტერესი გამოიწვია, მითუმეტეს, რომ სარბიელზე ამგვარი ტიტულოვანი სპორტსმენების ხილვა ყოველთვის როდი გვიხერხდება, განსაკუთრებით მესტენდურეების, რომლებსაც დღემდე ერთი ხეირიანი სასროლეთიც არა ჰქონიათ...

თბილისიდან ზუგდიდს მიმავალ საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, ზურაბ მაჩხანელს დავემგზავრე, რომელმაც ბევრი რამ მიამბო ქართველი მესტენდურეების, საერთოდ სასტენდო სროლის შესახებ. ის ხომ თავადაც უძლიერესი სპორტსმენი იყო და სწორედ მისი დამსახურებაა, ქართველმა მსროლელებმა ასე რომ გაითქვეს სახელი მთელს მსოფლიოში.

ზურაბი ისეთი კარგი მთხრობელი გამოდგა, რომ ვერც კი გავიგე, ის საკმაოდ გრძელი გზა როგორ გავლიეთ... თვითონ იგი სასტენდო სროლაში თურმე ნადირობის ტრფიალმა მოიყვანა:

— ომი ახალი დამთავრებული იყო. ეს ნაომარი კაცი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. არცთუ ურიგოდ ვთამაშობდი ფეხბურთს, ბორის პაიჭაძემ თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაშიც კი მიმიწვია, მაგრამ ჩემი ცხოვრების გზა სულ სხვაგვარად წარიმართა... ერთხელ ნარეყავს ზემოთ, ჭინდვრებში ვნადირობდი. სიმინდის ყანაში გადამფრენი მწყერების უზარმაზარ გუნდს წავაწყდი — 156 ცალი ჩამოვაგდე, მთელი ნანადირევი ტანზე ავისხი და წამოვედი, ფეხით უნდა ჩავიდე თბილისში — სად იყო მაშინ ამდენი ტრანსპორტი... გზაზე მანქანა წამომეწია, გამიჩერეს, ვხედავ, მძღოლის გვერდით ვიღაც წარმოსადეგი კაცი ზის, გაკვირვებული მიყურებს, თან მანქანაში მეპატიჟება. ამდენ მწყერასხმულს ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ბოლოს მაინც მოვთავსდი სავარძელზე და დავიძარით. გამოვეცნაურეთ ერთმანეთს — ის კაცი რესპუბლიკის მონკავშირის მაშინდელი თავმჯდომარე აღმოჩნდა. მან მეორე დღისთვის ვაკის სასროლეთზე დამიბარა. რა თქმა უნდა, მივედი და პირველივე ცდაზე ოციდან თვრამეტი თეფში გავტეხე. ასე დაიწყო ყველაფერი...

ზურაბ მაჩხანელი — სპორტის ეს დაუცხრომელი ენთუზიასტი და შესანიშნავი კაცი — საოცრად გახარებული იყო ზუგდიდელთა თაოსნობით. ერთი სული ჰქონდა, როდის ჩავიდოდით, რომ ახალი სტენდი ენახა.

— ალბათ, რაღაც ტრადიციები ჰქონდათ, თორემ ისე სასროლეთს არ ააშენებდნენ... — ვუთხარი ზურაბს.

(დასასრული მე-2 გვ.).

• • •

სურათებზე: ახალი სასროლეთის გახსნა ნამდვილ სახალხო ზეიმად იქცა; მესტენდურეები ცეცხლის ხაზზე.

ავტორის ფოტოები.

ილია წიკლაური

მძლეოსნობა (ბადროს ტყორცნა)

დაიბადა 1969 წელს გარდაბნის რაიონის სოფელ ვარკეთილში.
სიმაღლე 186 სმ, წონა 87 კგ.
ვარჯიში დაიწყო 1983 წლის გაზაფხულზე.
პირველი მწვრთნელი — დავით ყარყარაშვილი.
1983 წლის ოქტომბრიდან საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ომარ ოდიშვილი ავარჯიშებს.
1984 წლის მაისში შედეგით 48 მ, 86 სმ მეორე ადგილი დაიკავა საქართველოს ზონალურ პირველობაზე.
მაისშივე გახდა რესპუბლიკის მოსწავლეთა ჩემპიონატის პრიზიორი (49 მ, 40 სმ).
საუკეთესო შედეგი — 50 მ, 97 სმ.
საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ემზადება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ასფურცელას ნაბიჯებით

სხვა რომ წლობით იზრდებოდა, ის — საათობით, წერია ქართულ ზღაპრებში.

ასე, ზღაპრული გმირივით თვალის ერთ დახამხამებაში გაიზარდა ილია წიკლაურიც. მწვრთნელმა მიხედ-მოხედვაც ვერ მოასწრო, რომ მისმა მოწაფემ საკავშირო ტურნირი მოიგო.

ომარ ოდიშვილთან სავარჯიშოდ რომ მივიდა, ბადროს 36 მეტრზე ტყორცნიდა. წელიწადიც არ გასულა და ილიას ბადროს 50 მეტრიც „ეცოტავება“.

ორი დღის წინათ უკრაინის ქალაქ ლუცკში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა მძლეოსნობაში 1969-70 წლებში დაბადებულ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს შორის. ორჭიდის (ძირითადი სახეობა და 60 მეტრზე რბენა) ჯამში ილია წიკლაურმა პირველი ადგილი დაიკავა (ბადრო 50 მეტრსა და 72 სანტიმეტრზე ტყორცნა, ხოლო 60 მეტრი 7,7 წამში გაირბინა).

— ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასულ ჩემს უკრაინელ თანატოლს ზუსტად სამი მეტრით ვაჯობე,—თქვა ჩემპიონმა.—ძალიან მიხარია გამარჯვება, რომელსაც უპირველესად ომარ ოდიშვილს ვუმადლი. მისი გაზრდილია ჩემი პირველი მასწავლებელიც, ბადროს ტყორცნა ასე რომ შემაყვარა. სამი დღის შემდეგ შეკრებაზე მივდივარ მინსკში, სადაც თვის ბოლომდე დავრჩები. მოსწავლეთა სპარტაკიადამდე კი კიდევ ერთი, ბოლო შეკრება გვექნება ლესელიძეში. იქიდან პირდაპირ ტაშკენტს გავემგზავრები. სპარტაკიადისთვის 55-56 მეტრი მაქვს ჩაფიქრებული...

ლუცკის ჩემპიონატზე მეორე ქართველმა მძლეოსანმა, გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელმა, შუბის მტყორცნელმა გიორგი ჰინჭარაულმა (მწვრთნელი რევაზ კობიაშვილი) ვერცხლის მედალი მოიპოვა ორჭიდში — 59 მ. 04 სმ; 7,6 წამი.

სტუდენტთა სპორტკლუბების საკავშირო თამაშები

დამშვიდება ნაადრევი გამოდგა

საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში სტუდენტ მოფარიკავეთა ასპარეზობის მესამე დღე რაპირისტთა პირად პირველობას დაეთმო. გამარჯვებულები დღის ბოლოს გამოვლინდნენ. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა კუიბიშეველი მოფარიკავე სერგეი სომოვი, რომელიც რსფსრ-ის გუნდის ღირსებას იცავდა. II-III ადგილებზე გავიდნენ უკრაინელი სპორტსმენები, ალექსეი საპრუნი და ნიკოლაი კლიმოვი.

რაპირისტთა გუნდური პირველობის მონაწილე ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები გუშინ გაცილებით მეტი მონდომებით იბრძოდნენ. პირველ შეხვედრაში მათ პირდაპირ გაანადგურეს ყირგიზეთის სტუდენტთა ნაკრები — 9:0. შემდეგ საქართველოს გუნდი ბევრად უფრო ძლიერ მეტოქეს, ყაზახეთის გუნდს ხვდებოდა. ამ გუნდის სიძლიერეზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ პირადი პირველობის ფინალში წარმატებით იბრძოდა ყაზახეთის ორი წარმომადგენელი. ჩვენმა მუშკეტერებმა თავიდანვე შეუტიეს მეტოქეს. ექვსი ბრძოლის შემდეგ ანგარიში გახდა 4:2 ქართველ სტუდენტთა სასარგებლოდ. მეტოქეებმა ძალ-ღონის დაძაბვით შეძლეს ანგარიშის გათანაბრება (5:5). მომდევნო ორთაბრძოლებს თითქოს გარდატეხა უნდა შეეტანა შეხვედრის მსვლელობაში: ზურაბ აფციაურმა დაამარცხა ვლადიმერ კლიმოვი (5:1), რამაზ გიორგაძემ — ვალერი ტიტოროვი (5:3), ზაზა დოლიძემ — ისევ კლიმოვი (5:4) და მიკრომატჩის საერთო ანგარიში გახდა 8:5 ჩვენი ოთხეულის სასარგებლოდ (გუნდის მეოთხე წევრი რევაზ ხუციშვილი იყო. სათადარიგო სპორტსმენი არ გვყავდა). სამწუხაროდ, ჩვენმა მოფარიკავეებმა ნაადრევად დაიგულეს თავი საუკეთესო ოთხეულში და ზედიზედ ორი ბრძოლა დათმეს (8:7), უკანასკნელი ორთაბრძოლა მეტად დაძაბული გამოდგა და კარგა ხანსაც გრძელდებოდა (ხან ჩხვლეტის მაფიქსირებელი ხელსაწყო ფუჭდებოდა, ხან მსაჯი წყვეტდა შეხვედრას). გიორგაძე მონდომებული იბრძოდა, მაგრამ მაინც დამარცხდა ყაზახეთის გუნდის ლიდერთან სერგეი ბარანოვთან (3:5). საერთო ანგარიში თანაბარი იყო, მაგრამ ჩვენი გუნდის მეტოქეებს ჩხვლეტების შეფარდება უკეთესი ჰქონდათ და ამიტომ, შემდგომ ეტაპზე ბრძოლა მათ გააგრძელეს. საბოლოოდ ჩვენი გუნდი VII ადგილზე აღმოჩნდა.

გიორგი ჩოჩიშვილი.

სპორტული მატიანის იღბლიანი დასაწყისი

დასასრული

— ზუგდიდში ცხოვრობს იქაურ მსროლელთა თავკაცი, სპორტის ოსტატი ლუკიანე შეროზია. მან ჯერ კიდევ ამ ოცდაათი წლის წინათ მოაწყო მარტივი ტიპის მრგვალი სტენდი, სადაც გუნდს წვრთნიდა. ზუგდიდში სხვა ცნობილი მსროლელებიც იყვნენ: გრიგოლ ბულია, ალექსანდრე ჯიქია, ჯანდრი დარასელია, ლადო წიფურია და სხვებიც, რომლებმაც რაიონში სასტენდო სროლის გარკვეული ტრადიციები შექმნეს. ლუკიანემ კი ძველ თაობას სულ მალე მიაშველა ახლები: გელმან ხუფენია, ნუგზარ დავითაია, მერე კი გივი აბაკელია, თენგიზ შენგელია, გოჩა სალია და ბოლოს თავისი ვაჟი — ვახტანგი... ვახტანგ შეროზია სპორტის ოსტატია, საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი. მან წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და სამუშაოდ ვოროშილოვგრადში წავიდა, სადაც შესანიშნავი სასროლეთი მოაწყო და გაზარდა 1982 წლის საკავშირო ჩემპიონები ახალგაზრდებს შორის — ირინა ლეცმანი და ვლადიმერ დუხინი.

— მერე, ასეთ ნიჭიერ მწვრთნელს როგორ შეელიეთ ქართველები?

— არ შეგვლევიართ! საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის შოთა ქველიაშვილის მცდელობით ვახტანგი მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა. ახლა იგი „დინამოს“ ზუგდიდის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა და ახალი სასროლეთის მშენებლობის პირველი თაოსანიც სწორედ ის გახლავთ. ჩვენებური ანდაზა ხომ გაგიგონიათ: კვიცი გვარზე ხტისო...

ამ ანდაზის ჭეშმარიტებაში მაშინაც დავრწმუნდი, როცა მამაშვილი ლუკიანე და ვახტანგ შეროზიები გავიცანი. მათ სიხარულიანი სიამაყით დაგვათვალიერებინეს ახალი სპორტული კომპლექსი — მშვენივრად მოწყობილი ბაზა, რომელიც ყველა თანამედროვე მოთხოვნას აკმაყოფილებს, სიხარულიანი სიამაყითვე გვითხრეს:

— სულ მალე მესამე მოედანსაც მოვაწყობთ, იქით, იმ დაბურულ პარკში კი რამდენიმე სასტუმრო კოტეჯს ჩავდგამთ. სასროლეთმა დიდი პოპულარობა მოიპოვა რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის — ვარჯიშის მსურველთა რიცხვმა უკვე ორასს გადააჭარბა...

— მწვრთნელებიც გეყოლებათ...

— ჯერჯერობით ბავშვებს მე და მამაჩემი მოვამზადებთ, მერე კი ალბათ სხვებიც წამოგვეშველებიან.

— აქეთ მობრძანდით... — გვითხრა ლუკიანე შეროზიამ და შენობის მეორე მხარეს გაგვიყვანა.

სამსართულიანი შენობის გვერდითა კედელი ზეთის საღებავებით მოუხატავთ: სანადირო ძაღლებით გარშემორტყმულ კაცს მხარზე თოფის კონდახი მიუბჯენია და გაფრენილ იხვს უმიზნებს.

— თუ იცნობთ, ვინ არის? — გვეკითხება ლუკიანე.

ზურაბ მაჩხანელი გაკვირვებული ათვალიერებდა ნახატს, მერე მასპინძელს მიუბრუნდა:

— ეს ვინ დაგიხატიათ, კაცო?!

— აბა, გამოიცანი!

ზურაბი ისევ ნახატს მიაჩერდა:

— ჩემი დგომი აქვს... მოიცა, მოიცა, თოფიც რომ ჩემი დაუჭერინებიათ! მამა-შვილს სიცილი წასკდა.

მეც ვიცანი — თავად ზურაბ მაჩხანელი ბრძანდებოდა...

ახალი სასროლეთის გახსნა სახალხო ზეიმად გადაიქცა. იყო სიმღერა, ცეკვა, სპორტული შეჯიბრებები... მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ რაიონის მშრომელები, სპორტსმენები, სტუმრები თბილისიდან, ქუთაისიდან...

შოთა ქველიაშვილი: ეს სასროლეთი საუკეთესოა მთელს რესპუბლიკაში. დარწმუნებული ვარ, საბჭოთა კავშირის მესტენდურეთა ნაკრების წევრები სიამოვნებით ჩამოვლენ ზუგდიდში სავარჯიშოდ. აქვე ივარჯიშებენ „დინამოს“ საკავშირო და საქართველოს ნაკრები გუნდები. მერწმუნეთ, უახლოეს მომავალში ზუგდიდის სტენდი დიდ პოპულარობას მოიპოვებს. აქ ყოველგვარი პირობებია შექმნილი იმისათვის, რომ დიდი მასშტაბის შეჯიბრებები მოეწყოს.

ზეიმი დასრულდა, ახლა საჩვენებელი გამოსვლები უნდა გაიმართოს. მაყურებლები სულგანაბულნი ელოდებიან შეჯიბრების დაწყებას...

სასანგრო სტენდზე სპორტის ოსტატებთან — შოთა თავაძესა და თენგიზ იმნაიშვილთან ერთად პოზიციები დაიკავეს ზურაბ მაჩხანელის ახალგაზრდა აღსაზრდელებმა: თორნიკე ახვლედიანმა და ზაზა დევდარიანმა, ზუგდიდის სასროლეთზე ამოფრენილი პირველი თეფშებიც სწორედ ამ ბიჭებმა დაამტვრიეს...

ტარიელ ჟღენტმა, თამაზ იმნაიშვილმა და საკავშირო თასის მფლობელმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა გია შენგელიამ მრგვალ სტენდზე იასპარეზეს. თამაზ იმნაიშვილმა ზუგდიდის სასროლეთის რეკორდიც კი დაამყარა — ოცდახუთ თეფშს ესროლა და ერთისთვისაც არ აუცდენია.

სულ ტყუილი გამოდგა ის თავდაპირველი მღელვარება — ახალი სასროლეთის სპორტული მატიანე იღბლიანად დაიწყო.

ნუგზარ შატაიძე,
ჩვენი სპეც. კორ.

სურათებზე: მრგვალ სტენდზეა ტარიელ ჟღენტი; თამაზ იმნაიშვილი და შოთა თავაძე ასპარეზობის შემდეგ.

ავტორის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალი — მამაცთა ასპარეზი



„ლელოს“ 5 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული იყო წერილი, „გიწვევთ რალი „თბილისი-84“, რომელიც ავტომოყვარულებს რალისტთა თბილისის ღია პირველობაზე იწვევდა.

რედაქციამ მიიღო მკითხველთა წერილები, რომელთა ავტორები გვთხოვენ ცოტა რამ მოვუყვეთ ავტორალის ისტორიიდან, განვუმარტოთ შეჯიბრების წესები, ვისაუბროთ იმაზე, თუ რამდენად პოპულარულია რალი საქართველოში.

ცოტა რამ ისტორიიდან:

„რალი“ ინგლისური სიტყვაა და ქართულად შეხვედრას, შეკრებას ნიშნავს. თავდაპირველად ამ შეკრებებს სპორტული ხასიათი არ ჰქონდა, ეს იყო ავტომობილების მფლობელთა საკლუბო შეხვედრა.

დღეისათვის ავტოსპორტის ამ დიდად პოპულარული სახეობის პირველსახედ 1894 წელს საფრანგეთში გამართულ შეჯიბრებას თვლიან. მისი ინიციატორი იყო გაზეთი „პტი ჟურნალ“, რომელმაც მძღოლებს შესთავაზა გადაადგილების ახალი, ბორბლებიანი საშუალება და 130-კილომეტრიანი ჩაკეტილი მარშრუტი: პარიზი — რუანი — პარიზი. იდეით დაინტერესდნენ ავტომობილების დამამზადებლებიც, რადგან საშუალება ეძლეოდათ წარმოეჩინათ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი — კონკურსში მთავარი იყო არა სპორტული შედეგი, არამედ კონსტრუქციის ავ-კარგი, უსაფრთხოება და ეკონომიურობა.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველთა რიცხვმა ასს გადააჭარბა, სტარტზე კი მხოლოდ 27 დადგა. ორგანიზატორებმა რალისტებს შესთავაზეს სიჩქარე 16–17 კმ/სთ, მსაჯთა კოლეგიამ კი ნორმატივი 12,5 კმ/სთ-მდე დაიყვანა. უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს ბენზინისძრავიანმა ავტომობილებმა „პანარ ლევასორმა“ და „პეჟომ“.

რალის ისტორიაში ღირსშესანიშნავი იყო 1905 წელი. გერმანელმა პროფესორმა ჰუბერტ ფონ ჰერკომერმა დააწესა პრიზი იმ მონაწილისათვის, ვინც დადგენილ დროში გაივლიდა გზას (შეჯიბრება ტარდებოდა მარშრუტით მიუნჰენი — ბადენ-ბადენი — ნიურნბერგი — მიუნჰენი). 102 მონაწილეს შორის უძლიერესი აღმოჩნდა „მერსედესის“ მძღოლი ე. ლანდერბურგი. ეს შეჯიბრება წმინდა სპორტული ავტორალის საწყისად ითვლება.

ძალზე მნიშვნელოვანი იყო ორი მარათონი. პირველში — პეკინი — პარიზი (16000 კილომეტრი), რომელიც 1907 წელს მოეწყო, გაიმარჯვა იტალიელთა (ბორტეზე, ბარელინი, გვიცარდი) ეკიპაჟმა. მათ თავიანთი 40-ცხენისძალიანი „იტალე“-თი დადგენილი მარშრუტი 60 დღეში გაიარეს. მეორე მარათონი გაიმართა 1908 წელს. გასავლელი იყო 38000 კილომეტრი: ნიუ-იორკი — სან-ფრანცისკო — ვლადივოსტოკი — პარიზი. ხუთთვენახევრის შეუჩერებელი სვლის შემდეგ საფრანგეთის დედაქალაქში პირველი შევიდა 40-ცხენისძალიანი ავტომობილი „პროტოსი“ გერმანელთა ეკიპაჟით — კოპენუ, კნაპი, მაასუ. ამ დედამიწის ირგვლივ რბოლით დასრულდა ავტოსპორტის განვითარების მორიგი ეტაპი.

ამასობაში თანდათანობით ყალიბდებოდა ავტორალის სახე. მისი საფუძველი იყო რეგლამენტირებული შეზღუდული სიჩქარე, რომლიდან გადახრა (მომატებაც და დაკლებაც) საჯარიმო ქულებით აღინიშნებოდა.

საბჭოთა კავშირში პირველი ოფიციალური შეჯიბრება ჩატარდა 1957 წელს მარშრუტით მოსკოვი — სმოლენსკი — მინსკი — მოლოდეჩნო — ვილნიუსი — რიგა — ფსკოვი — ვიტებსკი — სმოლენსკი — მოსკოვი. ერთი წლის შემდეგ კი ბელორუსიის დედაქალაქში მოეწყო ქვეყნის პირველი ჩემპიონატი.

1958 წელს ავტორალი საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაშიც შეიტანეს. იმავე წელს ჩვენი მრბოლელები პირველად მონაწილეობდნენ საერთაშორისო შეჯიბრებაში — ევროპის ჩემპიონატზე „1000 ტბა“, რომელიც ფინეთში ჩატარდა.

მომდევნო ათწლეული ზეგრძელი მარათონებისადმი ინტერესით აღინიშნა. ინგლისური გაზეთის „დეილი ექსპრესის“ ინიციატივით 1968 წელს მოეწყო რალი ლონდონი — სიდნეი (16000 კილომეტრი). ათმა საბჭოთა სპორტსმენმა ავტომობილებით „მოსკვიჩი“ 412“ მსოფლიოს უძლიერეს რალისტებთან ერთად 223 საათსა და 16 წუთში გაიარა ორი კონტინენტის თერთმეტი ქვეყანა და სრული შემადგენლობით მივიდა ფინიშთან. ორი წლის შემდეგ 96 ეკიპაჟი მონაწილეობდა 26000-კილომეტრიან რალში ლონდონი — მეხიკო. მონაწილეთა შორის ექვსი საბჭოთა ეკიპაჟი იყო. ფინიშს „აცტეკის“ სტადიონზე წინ უძღოდა 40 დღის მომქანცველი რბოლა.

უკვე ათი წელია, რაც საბჭოთა რალისტები სოციალისტური ქვეყნების მეგობრობის თასის გათამაშებაში ღებულობენ მონაწილეობას. საბჭოთა ნაკრები საპატიო პრიზის მრავალგზის მფლობელია. პირად ჩათვლაში მხოლოდ ერთხელ გავიმარჯვეთ — 1982 წელს პირველი იყო ვ. იუნპუ — ა. ტიმუსკის წყვილი.

ავტოსპორტს ჩვენს რესპუბლიკაში რეკლამა არ სჭირდება. ამ სახეობით დაინტერესებულ ახალგაზრდებს ველარ აუდის საქართველოს დოსაafის ცენტრალური კომიტეტი.

ჩვენში არის ენთუზიასტთა პატარა ჯგუფი, რომლის თაოსნობითაც 1976 წლიდან ხან რესპუბლიკის ტურისტთა ცენტრალური საბჭოს, ხან საქართველოს ავტომოტომოყვარულთა საზოგადოების ეგიდით დღემდე რეგულარულად ეწყობა რესპუბლიკური რალი საკუთარი ავტომობილებით.

შესამჩნევად გამოსწორდა საქმე მას შემდეგ, რაც საქართველოს ავტო-მოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს სათავეში ჩაუდგა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ყოფილი ავტომობილისტი გ. ხაზარაძე. მისი უშუალო მონდომებითა და ხელმძღვანელობით ენთუზიასტთა ზემოხსენებულმა ჯგუფმა საბოლოოდ იპოვა თავშესაფარი ამ საზოგადოებაში. შარშან, სექტემბერში, საზოგადოების ცენტრალურმა საბჭომ ტურისტთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად ჩაატარა რესპუბლიკის ღია პირველობა, რომელმაც მიიზიდა როგორც გამოცდილი, ისე ახალბედა სპორტსმენები. სარბიელზე გამოვიდნენ რუსეთის, უკრაინისა და უზბეკეთის წარმომადგენლები. გუნდური პირველობა არავის დაუთმო ავტომოყვარულთა ნაკრებმა.

სოჭში გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ ტრადიციულ შეჯიბრებაში საქართველოდან სამი გუნდი გამოდიოდა. დოსაafის რესპუბლიკური სპორტსკოლის გუნდმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, ხოლო თბილისის ავტომოყვარულთა საზოგადოების ნაკრებმა და სოხუმის დოსაafის საოლქო კომიტეტის გუნდმა — მეოთხე-მეხუთე ადგილები. თბილისელებმა დაიმსახურეს აგრეთვე სპეციალური პრიზი „თავდადებისათვის“.

ამ დღეებში ფრთები შეესხმება ავტომოტომოყვარულთა კიდევ ერთ ოცნებას, საზოგადოებასთან ოფიციალურად გაიხსნება სპორტულ-ტექნიკური კლუბი, რომელსაც ექნება ავტო და მოტოსექციები, აგრეთვე თვითნაკეთი ავტომობილების სექცია. ამ სექციებში მეცადინეობა შეუძლია ყველას, ვისაც აქვს ავტომობილი ან მოტოციკლი და სპორტული დაოსტატების სურვილი. განზრახულია კლუბში გაიხსნას ავტო-მოტოტურისტთა სექციაც.

ვისაც გული ერჩის:

ჩვეულებრივ ავტორალსა (საერთაშორისო რალები, ქვეყნის ჩემპიონატები და სხვა) და ავტომოყვარულთა რალს შორის საკმაო განსხვავებაა. ავტომოყვარულთა რალში გასავლელი ტრასა უცნობია და ამიტომაც აქ წინა პლანზე გამოდის სწორი ორიენტირება. საშუალო სიჩქარე საკმაოდ მცირეა — 30-დან 60 კმ/სთ-მდე. იშვიათია, ან საერთოდ არ არის (ყოველ შემთხვევაში, საქართველოსა და თბილისის რალებში) ჩაკეტილი მარშრუტები, ე. ი. გზის მონაკვეთები, სადაც მოძრაობა გადაკეტილია. ასეთ ადგილებში, როგორც წესი, მრბოლელები მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებენ.

სამოყვარულო ავტორალის ეკიპაჟი ორი წევრისაგან შედგება — მძღოლი და შტურმანი (მძღოლისათვის აუცილებელია, სულ ცოტა, ორი წლის მართვის უფლება). მარშრუტის საშუალო სიგრძე 300–400 კილომეტრია (ერთდღიანი რალი). იგი დაყოფილია 8-10 მონაკვეთად. წინასწარ ცნობილია მხოლოდ სტარტისა და ფინიშის ადგილმდებარეობა.

ეკიპაჟები სტარტს იღებენ 2-2 წუთის ინტერვალით. სტარტზევე შტურმანს ეძლევა რუკა („ლეგენდა“), რომელზეც ისრებით აღნიშნულია გასავლელი გზის მიმართულება, აგრეთვე, თითოეული მონაკვეთის სიგრძე და დრო. ყოველი ასეთი მონაკვეთის ბოლოს დროის კონტროლის პუნქტია მოწყობილი, რომლის გავლისას მსაჯები აღნუსხავენ დაგვიანებას ან სხვა დარღვევებს. იმარჯვებს ის ეკიპაჟი, რომელიც ნაკლები საჯარიმო ქულით მივა ფინიშთან.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მოდით ახლა უფრო გავუშინაურდეთ სპორტის ამ საინტერესო სახეობას, ხომ შესაძლოა მკითხველთა შორისაც აღმოჩნდნენ ისეთები, ვისაც გული მიუწევს მისკენ, მაგრამ არ იცის რა და როგორ მოიმოქმედოს. გაშინაურებაზე უკვე ვთქვით და ახლა საქმეც მივაყოლოთ. 14–15 ივლისს თბილისში მოეწყობა ავტომოყვარულთა შეჯიბრება ფიგურულ სვლასა („ლელოს“ პრიზზე) და რალში. გაზეთი უკვე წერდა და კვლავ გავიმეორებთ, რომ ეკიპაჟი აღჭურვილი უნდა იყოს უსაფრთხოების მუზარადებით, შეჯიბრების დროს აუცილებელი იქნება წამზომი, თუმცა ყველაფერ ამის შესახებ დაინტერესებულთ შეუძლიათ გაიგონ შეჯიბრების ორგანიზატორის, ავტომოყვარულთა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ მოწყობილ წინასწარ შეხვედრაზე: 13 ივლისი, ნუცუბიძის პლატო, I მიკრორაიონი, IV კორპუსი, 18 საათზე. ტელ: 31-30-86.

და ბოლოს, საკავშირო სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით საბჭოთა კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადის პროგრამაში (სპორტის სამხედრო-გამოყენებით სახეობებში) ავტოსპორტიდან მხოლოდ რალი დარჩა. ადვილი მისახვედრია, რამდენად მნიშვნელოვანია ავტორალის შემდგომი პოპულარიზაცია ჩვენს რესპუბლიკაში.

არჩილ მხეიძე.

სურათზე: „პანარ ლევასორი“, რომელმაც 1895 წლის რალში პარიზი — ბორდო — პარიზი პირველი ადგილი დაიკავა. ამ ავტომობილის ძრავის სიმძლავრე 4 ცხენის ძალას შეადგენდა. სხვათა შორის, იმ რბოლაში ავტომობილს მისივე კონსტრუქტორი ე. ლევასორი მართავდა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

დამთავრდა სსრ კავშირის 1984 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის I წრე (153 მატჩი). გათამაშების ამ ეტაპზე, როგორც წესი, სტატისტიკოსები აჯამებენ განვლილ შედეგებს და საინტერესო სტატისტიკურ მონაცემებს გვაწვდიან. ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველები ინტერესს გამოიჩენენ პირველი წრის აქტუალური სტატისტიკის მიმართ.

ჯერ მოვიყვანოთ გათამაშების ცხრილები:

I წრის შედეგები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი"	17	9	5	3	25-15	23
„დნეპრი"	17	9	5	3	25-16	23
„ზენიტი"	17	8	5	4	26-14	21
ასკ რ.	17	8	5	4	27-17	21
„ტორპედო"	17	7	6	4	14-12	20
„დინამო" კ.	17	6	8	3	22-13	20
„ჩერნომორ."	17	6	6	5	19-19	18
„დინამო" მნ.	17	5	8	4	20-19	18
„შახტიორი"	17	6	5	6	29-25	17
„ქაირათი"	17	6	5	6	24-24	17
„მეტალისტი"	17	6	4	7	19-22	16
„დინამო" თბ.	17	6	4	7	14-18	16
„ჟალგირისი"	17	4	8	5	12-22	16
„არარატი"	17	5	4	8	20-20	14
ცსკა	17	4	6	7	13-20	14
„ფახთაქორი"	17	4	3	10	15-23	11
„ნეფთჩი"	17	4	3	10	13-29	11
„დინამო" მ.	17	2	6	9	13-22	10

საკუთარ მინდორზე

„დინამო" თბ.	9	6	2	1	12-5	14
ასკ რ.	9	5	4	0	15-9	14
„ქაირათი"	9	5	3	1	17-6	13
„სპარტაკი"	9	5	3	1	16-12	13
„დინამო" მნ.	9	4	5	0	14-7	13
„ზენიტი"	8	6	0	2	17-6	12
„დნეპრი"	8	5	2	1	13-6	12
„ჟალგირისი"	8	4	4	0	8-4	12
„ჩერნომორეცი"	8	5	1	2	11-8	11
„დინამო" კ.	9	4	3	2	13-6	11
„შახტიორი"	9	4	3	2	17-11	11
„ტორპედო"	9	4	3	2	9-8	11
„მეტალისტი"	8	4	2	2	11-8	10
„არარატი"	8	4	1	3	14-10	9
„ფახთაქორი"	8	4	1	3	11-8	9
„ნეფთჩი"	9	3	2	4	6-9	8
ცსკა	8	1	4	3	5-9	6
„დინამო" მ.	8	0	5	3	3-6	5

მეტოქეთა მინდვრებზე

„დნეპრი"	9	4	3	2	12-10	11
„სპარტაკი"	8	4	2	2	9-3	10
„ტორპედო"	8	3	3	2	5-4	9
„დინამო" კ.	8	2	5	1	9-7	9
„ზენიტი"	9	2	5	2	9-8	9
ცსკა	9	3	2	4	8-11	8
ასკ რ.	8	3	1	4	12-8	7
„ჩერნომორეცი"	9	1	5	3	8-11	7
„შახტიორი"	8	2	2	4	12-14	6
„მეტალისტი"	9	2	2	5	8-14	6
„დინამო" მ.	9	2	1	6	10-16	5
„არარატი"	9	1	3	5	6-10	5
„დინამო" მნ.	8	1	3	4	6-12	5
„ქაირათი"	8	1	2	5	7-18	4
„ჟალგირისი"	9	0	4	5	4-18	4
„ნეფთჩი"	8	1	1	6	7-20	3
„ფახთაქორი"	9	0	2	7	4-15	2
„დინამო" თბ.	8	0	2	6	2-13	2

● **I წრეში** მასპინძლებმა მოიგეს 73 შეხვედრა, სტუმრებმა — 32, 48 მატჩი ფრედ დამთავრდა.

● **ჩემპიონატის** პირველი ნახევრის მატჩებზე სულ მოვიდა 3.067.163 მაყურებელი. ე. ი. საშუალოდ ყოველ თამაშზე — 20.047.

● **ყველაზე** მეტი მაყურებელი ჰყავდა თბილისის „დინამოს" — 625.593. შემდეგ მოდიან კიევის „დინამო" — 521.750 და მინსკის „დინამო" — 450.224.

● **ყველაზე** ნაკლები მაყურებელი ჰყავდა მოსკოვის „ტორპედოს" — 184.000.

● **ყველაზე** მეტი მაყურებელი მოვიდა თბილისის „დინამოსა" და ცსკა-ს მატჩზე თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე — 74.364 კაცი.

● **სულ** I წრეში გატანილია 350 ბურთი. ბომბარდირთა სიას მეთაურობს ლენინგრადელი ი. ჟელუდკოვი — 11 ბურთი. მომდევნო ადგილებზე არიან როსტოველი ს. ანდრეევი — 10 და დნეპროპეტროვსკელი ო. პროტასოვი — 9.

● **თბილისის** „დინამოდან" ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა ა. ჩივაძემ — 6. 3 ბურთი გაიტანა რ. შენგელიამ, 2-2 — თ. სულაქველიძემ და ნ. კაკილაშვილმა, 1 — ქორქიაშვილმა.

● **ერთ** მატჩში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა ერევნელმა გ. მხითარიანმა — 4 (მოსკოვის „დინამოსთან"). 3-3 ბურთი გაიტანეს ა. იაკუბიკმა („ფახთაქორი"), ი. ჟელუდკოვმა („ზენიტი") და ვ. ლიუტიმ („დნეპრი").

● **153** მატჩში დაინიშნა 39 პენალტი, აქედან 29 მასპინძელთა და მხოლოდ 10 — სტუმართა სასარგებლოდ. 39 პენალტიდან ვერ გაიტანეს 10.

● **ყველაზე** მეტი 11-მეტრიანი დაინიშნა თბილისის „დინამოს" სასარგებლოდ — 7. ტაშკენტის „ფახთაქორთან" შეხვედრაში რ. შენგელიას მიერ დარტყმული პენალტი აიღო მეკარე ვ. იანოვსკიმ, ამის შემდეგ ა. ჩივაძემ გოლით დააგვირგვინა ხუთი 11-მეტრიანი, ერთი კი მოიგერია დონეცკის „შახტიორის" მეკარემ ვ. ელინსკასმა და ჩივაძემ მხოლოდ განმეორებითი ცდით შეძლო ბურთი გაეტანა.

ლენინგრადის „ზენიტის" სასარგებლოდ დაინიშნა 4 პენალტი, „შახტიორის" და „ნეფთჩისა" — 3-3.

● **I წრის** მატჩებში ფიქსირებულია 6 „ავტოგოლი", ერთ-ერთი ასეთი ბურთი თბილისის დინამოელმა ე. თევზაძემ გაიტანა საკუთარ კარში.

● **დიდი** ანგარიშით ყველაზე მეტი მატჩი მოიგეს ლენინგრადის „ზენიტმა" და კიევის „დინამომ" — 3-3. თბილისის „დინამოს" დიდი ანგარიშით არც ერთი შეხვედრა არ მოუგია.

● **ყველაზე** მეტი გაფრთხილება I წრეში მიიღეს ცსკა-ს ფეხბურთელებმა — 19. მინდვრიდან 4 ფეხბურთელი გააძევეს: სპარტაკელი პოზდნიაკოვი, ტორპედოელი ვასილიევი, თბილისელი გუცაევი და როსტოველი ნიკიტინი.

სულ I წრის მატჩებში უმაღლესი ლიგის ძირითად შემადგენლობებში ითამაშა 388 ფეხბურთელმა. ყველაზე მეტი მოთამაშე გამოიყვანა თბილისის „დინამომ" — 28, შემდეგ მოდიან მოსკოვის „დინამო" (26) და ცსკა (25).

I წრის ყველა, ჩვიდმეტივე მატჩი ძირითად შემადგენლობაში ჩაატარა 50 ფეხბურთელმა, შეუცვლელად კი — ოცმა. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთაგან მხოლოდ თ. სულაქველიძემ ითამაშა ყველა მატჩში, თუმცა დნეპროპეტროვსკში იგი შეცვალეს.

უმაღლესი ლიგის გუნდების ძირითად შემადგენლობებში სულ გამოვიდა 30 მეკარე. 3 მეკარე ათამაშა თბილისის „დინამომ" — ა. ქანთარია, მ. აბუსერიძე და ა. ბალაძე.

უმაღლესი ლიგის გუნდებმა I წრის მატჩებში მინდორზე გამოიყვანეს 64 დებიუტანტი. ყველაზე მეტი დებიუტანტი ჰყავდა როსტოვის არმიელთა გუნდს — 13, მოსკოვის „ტორპედოს" კი არც ერთი დებიუტანტი არ გამოუყვანია. თბილისის „დინამომ" I წრის მატჩებში ათამაშა 3 დებიუტანტი — ი. სიჰინავა, ა. ბალაძე და ჯ. ქოჩქიანი.

47-ე ჩემპიონატის 153 მატჩის მონაწილეთაგან ყველაზე ახალგაზრდები არიან თბილისის დინამოელი ჯ. ქოჩქიანი და მოსკოვის არმიელი ვ. კოლესნიკოვი — 17-17 წლისანი.

ყველაზე ხნიერები არიან ბაქოელი ს. კრამარენკო (38 წლის) და ტაშკენტელი ა. იაკუბიკი (34).

I წრეში ყველაზე მეტ (9) მატჩში იმსაჯა ომსკელმა ვ. კუზნეცოვმა. თბილისელმა ვ. მიმინოშვილმა და სოხუმელმა ა. მილჩენკომ ჩაატარეს 7-7 მატჩი.

თბილისის „დინამოს" ყველაზე მეტ მატჩში იმსაჯა მოსკოველმა ა. კადეტოვმა — 3.

სსრ კავშირის ჩემპიონატებში თბილისის „დინამოდან" დღემდე ყველაზე მეტ მატჩში ითამაშეს ს. მეტრეველმა — 375, ა. ლოლობერიძემ — 341, მ. მაჩაიძემ — 325, გ. ნოდიამ — 314, მ. ხურცილავამ — 302 და შ. იამანიძემ — 300. ვ. გუცაევს ჯერჯერობით ჩატარებული აქვს 278 კალენდარული მატჩი.

ნიკო ცერცვაძე,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპროექტო კანტორის სექტორის ხელმძღვანელი, ფეხბურთის სტატისტიკოსი.

ევროპული თასების წილისყრა

ჟენევა. ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ ეტაპზე ფეხბურთში „დნეპრი" შეხვდება თურქეთის გუნდს „ტრაბზონსპორს". პირველ მატჩს დნეპროპეტროვსკელები სტუმრად გამართავენ. ეს ცნობილი გახდა კენჭისყრის შემდეგ, რომელიც ჩაატარა ევროპის საფეხბურთო ასოციაციის კავშირმა (უეფა).

თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში მოსკოვის „დინამოს" მეტოქე იუგოსლავიის კლუბი „ჰაიდუკი" იქნება. პირველი მატჩი მოსკოვშია დანიშნული.

უეფას თასის ტურნირში მოსკოვის „სპარტაკი" „ოდენსეს" (დანია) შეხვდება, მინსკის „დინამოს" მეტოქეა ფინეთის კლუბი ჰიკ-ი. პირველ მატჩებს საბჭოთა გუნდები შინ ითამაშებენ.

ევროპის თასების გათამაშების პირველი მატჩები 19 სექტემბერს გაიმართება, განმეორებითი — 3 ოქტომბერს.

პლანიჩკას იუბილე

პრაღამ აღნიშნა ლეგენდარული მეკარის ფრანტიშეკ პლანიჩკას დაბადების 80 წლის იუბილე. პლანიჩკა ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე იყო ფეხბურთის ისტორიაში, 20-30-იან წლებში 73-ჯერ ითამაშა ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ ნაკრებში და 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირიც გახდა. მისი დამსახურება იყო ის, რომ ჩეხოსლოვაკიელებმა იმ წელს ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

ინფორმაცია

გადასვლები, გადასვლები...

„ოქროს ბუცის" შარშანდელი მფლობელი გომეში, რომელიც აქამდე „პორტუში" თამაშობდა, ამიერიდან „მილანში" გამოვა.

არაერთი წინადადება შესთავაზეს დანიის ნაკრების ცნობილ თავდამსხმელს ელკიაერ-ლარსენს, რომელიც აქამდე „ლოკერენში" (ბელგია) თამაშობდა. დანიელს, სხვათა შორის, ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურიც" ეპატიჟებოდა, მაგრამ იგი იტალიის პირველი ლიგის კლუბ „ველასში" (ვერონა) გადავიდა, რომელთანაც სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ბელგიის ნაკრების ცნობილი ნახევარმცველი ვერკაუტერენი (იგი ბრიუსელის „ანდერლეხტში" გამოდიოდა) ბორდოს „ჟირონდაში" (საფრანგეთი) ითამაშებს.

იუგოსლავიის ნაკრების ცენტრალური მცველი ზაეცი (ზაგრების „დინამო") ამიერიდან ათენის „პანათინაიკოსში" გამოვა.

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციაში

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციამ განიხილა ბუდაპეშტის კლუბების „ჰონვედისა" და „ვოლანის" მატჩის გარშემო შექმნილი საეჭვო მითქმა-მოთქმა, მარცხის შემთხვევაში „ვოლანი" ტოვებდა პირველ ლიგას, მან კი „ჰონვედთან" საკმაოდ უცნაურ ფრეს (6:6) მიაღწია და თავიდან აიცილა საფრთხე. ფედერაციამ დაადგინა, რომ მატჩი წინასწარი შეთანხმებით ჩატარდა და „ვოლანს", თუმცა მან 2 გუნდს გაუსწრო, მაინც დაატოვებინა პირველი ლიგა. ამ კომბინაციის მონაწილე „ჰონვედი" 500.000 ფორინტით დააჯარიმეს.

დანიის თასი — „ლინგბის"

დანიის საფეხბურთო თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ლინგბი ბკ" და კოპენჰაგენის „კბ". ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „ლინგბიმ".

საბჭოთა კავშირის პირველობა

I ლიგა

გუშინ გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების I წრის ბოლო ტურის შეხვედრები. ყურადღების ცენტრში იდგა მატჩი ზაპოროჟიეში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები — ადგილობრივი „მეტალურგი" და „ქუთაისის „ტორპედო". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0.

გუშინვე თამაშობდნენ ლანჩხუთის „გურია" და ბათუმის „დინამო".

ლანჩხუთელებმა კემეროვოში „კუზბასთან" გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0, ხოლო ბათუმის „დინამომ" დაამარცხა ნიკოპოლის „კოლოსი" — 2:1.

საქართველოს პირველობა

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის კალენდარული მატჩები.

I ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა. „არაგვი" (დუშეთი) — „კახეთი" (თელავი) 1:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 4:2, „სამგორი" (გარდაბანი) — „ივერია" (ხაშური) 0:3, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ავტომობილისტი (თბილისი) 1:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — „შევარდენი" (თბილისი) 2:1, „იმედი" (თბილისი) — „თორი" (ბორჯომი) 1:2, „მადნეული" (ბოლნისი) — „დურუჯი" (ყვარელი) 4:1, „არმაზი" (მცხეთა) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:1.

დასავლეთი ზონა. „გიგანტი" (ლაითური) — „შადრევანი" (წყალტუბო) 0:1, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „სულორი" (ვანი) 0:0, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 2:1, „მალაროელი" (ჭიათურა) — „მზიური" (გალი) 4:2, „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 3:2, „ეგრისი" (ცხაკაია) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 2:1, „სქური" (წალენჯიხა) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 3:1, „დინამო" (გაგრა) — „იმერეთი" (წულუკიძე) 2:1.

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა. „ჩიხურა" (საჩხერე) — „აბული" (ახალქალაქი) 4:2, „ალგეთი" (მარნეული) — „იმედი" (რუსთავი) 3:3, „ვარძია" (ასპინძა) — „განთიადი" (კასპი) 2:0, „იბერია" (ქარელი) — „თრიალეთი" (წალკა) 2:1, „მაშავერა" (დმანისი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 3:3, „მშენებელი" (ჭიათურა) — „მესხეთი" (ახალციხე) 2:3, „გარეჯი" (საგარეჯო) — „ზარზმა" (ადიგენი) 3:2.

დასავლეთი ზონა. „ნარინჯი" (ნატანები) — „კოლმეურნე" (ტყიბული) 1:0, „შუქურა" (ქობულეთი) — „ნარინჯი" (გონიო) 2:0, „ოდიში" (ზედა ეწერი) — „თოლია" (ბათუმი) 4:2, „კოლხეთმშენი" (ფოთი) — „სენაკი" (ცხაკაია) 2:2, „იმერეთი" (ქუთაისი) — სუბტროპიკული ინსტიტუტი (სოხუმი) 3:1, „ნარუჯა" (მახარაძე) — „ნაპერწკალი" (ოქუმი) 7:0.

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფი მდგომარეობა 11 ივლისისთვის

აღმოსავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურ."	16	11	3	2	30-10	25
„მადნეული"	17	10	5	2	30-15	25
„შევარდ."	16	11	2	3	32-9	24
„ავტომობ."	17	11	2	4	31-15	24
„კახეთი"	17	10	3	4	23-11	23
„არმაზი"	17	8	7	2	34-22	23
„ივერია"	17	8	4	5	27-21	20
„ჰერეთი"	17	6	7	4	25-17	19
„არაგვი"	17	6	5	6	20-19	17
„სპარტაკი"	17	5	5	7	27-26	15
ფიზკ. ინს.	17	5	5	7	25-26	15
„დურუჯი"	17	5	4	8	14-24	14
„იმედი"	16	4	6	6	22-18	14
„ალაზანი"	17	5	2	10	17-35	12
„თორი"	17	2	4	11	14-36	8
პოლ. ინს.	17	1	3	13	15-37	5
„სამგორი"	17	1	1	15	6-51	3

დასავლეთი ზონა

„სულორი"	18	11	4	3	31-15	26
„შადრევანი"	18	10	6	2	37-21	26
„მალაროელი"	18	7	9	2	24-15	23
„მზიური"	18	8	6	4	35-24	22
„დინამო" ზ.	17	7	6	4	29-24	20
„საპოვნელა"	18	8	3	7	32-25	19
„მეტალურგი"	18	6	7	5	29-24	19
„დინამო" გ.	17	8	2	7	30-30	18
„სამეგრელო"	18	7	4	7	27-26	18
„ამირანი"	18	7	3	8	27-24	17
„ბახმარო"	18	7	3	8	19-30	17
„სქური"	18	6	4	8	20-26	16
„გიგანტი"	18	7	1	10	20-26	15
„ეგრისი"	18	5	5	8	23-29	15
„კოლხეთი"	17	4	5	8	23-31	13
„იმერეთი"	18	4	5	9	19-31	13
„საირმე"	18	3	6	9	18-27	12
„სალხინო"	17	3	5	9	34-38	11

„სიჭაბუკის თასზე"

მოსკოვში გრძელდება მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო ნახევარფინალური შეჯიბრება „სიჭაბუკის" თასზე.

ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა მოსკოვიდან შეგვატყობინა, რომ საქართველოს ფეხბურთელებმა I ტურში დაამარცხეს ლენინგრადის გუნდი — 2:1. რსფსრ-სა და ყირგიზეთის, მოსკოვისა და „შრომითი რეზერვების" გუნდების შეხვედრები ამ ტურში დამთავრდა ერთნაირი ანგარიშით — 3:0. გაიმარჯვეს პირველად დასახელებულმა გუნდებმა.

II ტურში საქართველოს ნაკრებმა დიდი ანგარიშით დაამარცხა ყირგიზეთის გუნდი — 5:0. 2 ბურთი გაიტანა გ. ნოზაძემ, თითო — ქ. შერმაზანაშვილმა, ვ. იაკოვლევმა და ზ. ჯორბენაძემ. ამ ტურში ლენინგრადელებმა ანგარიშით 1:0 მოუგეს მოსკოველებს, რსფსრ-სა და „შრომითი რეზერვების" გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

დღეს საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელებს საპასუხისმგებლო მატჩი აქვთ რსფსრ-ს გუნდთან.

ლანჩხუთელთა წარმატება

ლანჩხუთში დამთავრდა „ოქროს თავთავის" საკავშირო ნახევარფინალური ტურნირი მოზარდ ფეხბურთელთა შორის.

საუკეთესოდ ითამაშეს და 10 შესაძლებლიდან 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს ლანჩხუთელმა ჭაბუკებმა (გუნდის მწვრთნელები ვ. იმნაიშვილი, მ. ხერგიანი). მეორე ადგილზე გავიდნენ სომხეთის ქ. ოქტემბერიანის ფეხბურთელები (8 ქულა) მესამეზე — გურჯაანის გუნდი (6 ქულა).

სწორედ ეს სამი პრიზიორი მიიღებს მონაწილეობას „ოქროს თავთავის" საკავშირო ფინალურ გათამაშებაში, რომელიც 22 ივლისს დაიწყება ქ. აზოვში.

ლანჩხუთის ტურნირში გამოვლინდა რამდენიმე პერსპექტიული ჭაბუკი ფეხბურთელი, რომელთაც სპეციალური პრიზები გადაეცათ. ტურნირის საუკეთესო ბომბარდირისათვის დაწესებული ჯილდო მოიპოვა ლანჩხუთელმა რ. ნარიაშვილმა. საუკეთესო მეკარე იყო ლანჩხუთელი დ. მეგრელიშვილი. პრიზები გადაეცათ გურჯაანელ თავდამსხმელს ვ. სეფაშვილს და ნახევარმცველს ს. მარგიანს.

ზონალური შეჯიბრება

თბილისში დაიწყო სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ზონალური შეჯიბრება ფეხბურთში პროფტექგანათლების სისტემის მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოსკოვის, ყაზახეთის, საქართველოს, სომხეთისა და ტაჯიკეთის ნაკრები გუნდები. თამაშები შედგება 11, 13, 15 და 17 ივლისს „ლოკომოტივის", „სინათლისა" და გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონებზე. დასაწყისი 19 საათზე.



ნახევარფინალში გავიდნენ

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ იურმალის კორტებზე დამთავრდა ევროპის „ა“ ზონის მეორე ლიგის მეოთხედფინალური მატჩი დევისის თასზე საბჭოთა კავშირისა და მონაკოს ნაკრებ გუნდებს შორის. შეხვედრა მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 5:0.

დევისის თასის გათამაშება (პრიზი დააწესა ამერიკელმა ჩოგბურთელმა დ. დევისმა) 1900 წლიდან ტარდება, რომელშიც ტრადიციულად მსოფლიოს უძლიერესი ვაჟთა გუნდები მონაწილეობენ. ამ საპატიო პრიზის მოპოვება ყველა გუნდის ოცნებაა, მაგრამ დღემდე მხოლოდ რვა ქვეყნის წარმომადგენლებს გაუღიმა ბედმა. 28 გათამაშებაში გაიმარჯვა აშშ-ის გუნდმა, 25-ჯერ კი პირველნი იყვნენ ავსტრალიელები, 9-ჯერ — დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები, 6-ჯერ — ფრანგები;

თასი თითოჯერ მოიგეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის (1974 წელს ინდოეთის გუნდმა უარი განაცხადა ფინალურ მატჩში თამაშზე), შვეციის, იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებმა.

წლევანდელი გათამაშება რიგით 73-ეა. 1980 წელს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ნტფ) დაამტკიცა შეჯიბრების ახალი დებულება, რომლის მიხედვითაც თასისთვის უშუალოდ იბრძვის ვაჟთა 16 უძლიერესი გუნდი (ელიტის ჯგუფი), დანარჩენები კი (მეორე ჯგუფი) ზონებში თამაშობენ ელიტის ჯგუფის ოთხი საგზურის მოსაპოვებლად.

მონაკოს ჩოგბურთელები დევისის თასის გათამაშებაში 1929 წლიდან მონაწილეობენ, ხოლო საბჭოთა კავშირის ნაკრები ამ პოპულარული პრიზისთვის ბრძოლაში 1962 წლიდან ჩაება. წლევანდელ სეზონში საბჭოთა ნაკრები მეოცედ მონაწილეობს გათამაშებაში და ამ ხნის მანძილზე ბევრი უძლიერესი გუნდი დაუმარცხებია. 1974 და 1976 წლებში იგი ნახევარფინალისტთა რიცხვში იყო. ბოლო წლებში გუნდი დატოვეს მისმა უცვლელმა წევრებმა და გამოცდილმა მებრძოლებმა — ალექსანდრე მეტრეველმა, თეიმურაზ კაკულიამ, მოსკოველმა ვ. კოროტკოვმა. საბჭოთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი შამილ ტარპიშჩევი იძულებული გახდა ხელახლა დაეკომპლექტებინა გუნდი ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშეებით.

ბოლო წლებში საბჭოთა ნაკრებს დიდი გამარჯვებები არ მოუპოვებია. 1981 წლის სექტემბერში ჩვენმა გუნდმა ევროპის „ა“ ზონის ფინალში დაამარცხა ჰოლანდიის გუნდი და სწორედ მაშინ მოიპოვა ელიტის ჯგუფში გამოსვლის უფლება. 1982 წელს, შვეციის გუნდთან დამარცხების შემდეგ, საბჭოთა ჩოგბურთელებმა შეძლეს ეს უფლება შეენარჩუნებინათ, როცა გადამწყვეტ მატჩში აჯობეს ინდოეთის გუნდს, მაგრამ შარშან საფრანგეთის და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებთან დამარცხდნენ. გუნდი წლეულსაც მეორე ლიგაში თამაშობს, სადაც ელიტის ჯგუფში მოხვედრისთვის უნდა იბრძოლოს.

თასის განვლილი 72 გათამაშების მანძილზე საბჭოთა კავშირისა და მონაკოს გუნდები სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. სხვათა შორის, თბილისელ გულშემატკივრებს ახსოვთ 1976 წელი, როცა „დინამოს“ კორტებზე ჩვენმა ნაკრებმა ანგარიშით 5:0 დაამარცხა სტუმრები. საბჭოთა გუნდმა კიდევ ორჯერ გაიმარჯვა: მონტე-კარლოში 1970 წელს ანგარიშით 5:0 და 1973 წელს — 4:1.

დევისის თასის გათამაშების მატჩებში მონაწილეობის რეკორდი ეკუთვნის ცნობილ იტალიელ ჩოგბურთელს ნიკოლო პიეტრანჯელის, რომელიც 1954-1972 წლებში 164 მატჩში იცავდა იტალიის გუნდის სპორტულ ღირსებას და აქედან 120 შეხვედრა მისი გამარჯვებით დამთავრდა. საბჭოთა ჩოგბურთელებიდან ყველაზე მეტი შეხვედრა ჩატარებული აქვს ალექსანდრე მეტრეველს, რომელმაც 105 ორთაბრძოლიდან 78 მოიგო. საბჭოთა ნაკრების სხვა წევრებიდან ამ გათამაშებაში ყველაზე მეტი მატჩი აქვთ ნათამაშები ტომას ლეიუსს (47), სერგეი ლიხაჩოვს (37) და თეიმურაზ კაკულიას (32).

მატჩის დაწყების წინ სასტუმრო „იურმალაში“ მოეწყო პრესკონფერენცია. სიტყვით გამოვიდნენ ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, მონაკოს ნაკრების კაპიტანი ბერნარ ბოლერი, საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი შამილ ტარპიშჩევი, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელი ჩოგბურთში ვიქტორ იანჩუკი, მატჩის კომისარი ჟაკ დორფმანი. ჩვენი მკითხველისათვის ალბათ საინტერესოა იცოდეს, რომ დორფმანი, რომელიც ახლახან საფრანგეთის ღია პირველობის მთავარი არბიტრი იყო, თვითონ სჯიდა ფინალურ მატჩს მაკინროუსა და ლენდლს შორის.

იურმალაში კენჭისყრის შემდეგ საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელს ჩოგბურთში ვიქტორ იანჩუკს მცირე ინტერვიუ ვთხოვე ჩვენი გაზეთისათვის.

● **რას იტყოდით „ლელოს“ მკითხველებს დევისის თასის გათამაშების ამ ეტაპის შესახებ?**

— საქმე ის არის, რომ შარშან დევისის თასის გათამაშების გადასვლელ მატჩში ჩვენ წავაგეთ ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელებთან და იძულებული გავხდით უმაღლესი ლიგა დაგვეტოვებინა. ახლა ევროპის ზონაში ვთამაშობთ, სადაც 16 გუნდი გამოდის. სამი შეხვედრა მაინც უნდა მოვიგოთ, რომ გათამაშების უმაღლეს საფეხურზე მოვხვდეთ.

რადგან ჩვენი გუნდი შარშან უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა, წლეულს ბრძოლას მეორე წრიდან ვიწყებთ. ჩვენი მეტოქე — მონაკოს გუნდი — უკვე შეხვდა ზიმბაბვეს ჩოგბურთელებს და გაიმარჯვა — 4:1.

● **რა აზრისა ხართ ჩვენი გუნდის მეტოქეებზე?**

— მონაკოს ჩოგბურთელებს ჯერ მაინცდამაინც არ გამოუჩენიათ თავი მსოფლიოს კორტებზე. მაგრამ ისინი საკმაოდ ძლიერი და თანაბარი მოთამაშეები არიან, ასე ვთქვათ, შუაევროპული დონისა.

ჩოგბურთელთა პირველი ტურნირი მონაკოში 1897 წელს ჩატარდა. ყოველწლიურად ტარდება მონტე-კარლოს ღია ჩემპიონატი, რომელსაც დასაბამი 1925 წელს მიეცა. ამ ტურნირში გრან-პრი მოუპოვებიათ მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ ჩოგბურთელებს — ბიორნ ბორგს, იანიკ ნოას, დ. არიასსა და სხვებს.

● **რატომ აირჩიეს მაინცდამაინც იურმალა დევისის თასის გათამაშების მასპინძლად? რამდენადაც მახსოვს, ეს შეჯიბრებები ხშირად ტარდებოდა თბილისში...**

— თბილისი მუდამ იზიდავდა ჩოგბურთელებს. თავის დროზე საქართველოს ბრწყინვალე ოსტატები ჰყავდა. ჩემი აზრით, ერთგვარი „შესვენების“ შემდეგ ქართულ ჩოგბურთში კვლავ გამოჩნდნენ „ვარსკვლავები“ — გაბრიჩიძე, უმცროსი მეტრეველი, მესხი, მალაციძე, ბოკუჩავა და სხვები. თქვენ გაქვთ „დინამოს“ შესანიშნავი საჩოგბურთო სტადიონი. ეს მოწმობს, რომ ჩოგბურთი მართლაც პოპულარულია თქვენი რესპუბლიკის დედაქალაქში. წლეულს არჩევანი იურმალაზე შეჩერდა. ბევრი კორტია ტაშკენტში, დონეცკში, მოსკოვში, მაგრამ სიდიდით ვერც ერთი ვერ შეედრება იურმალის (ლიელუპის) ჩოგბურთის სტადიონს, რომლის ცენტრალური კორტიც 8 ათასზე მეტ მაყურებელს იტევს. საინტერესოა ერთი ასეთი დეტალიც: იურმალაში კორტებს წვიმისაგან სპეციალური ტენტებით იცავდნენ. ეს ჯერჯერობით მოსკოვშიც კი არ კეთდება. შემთხვევითი როდია, რომ ჩოგბურთის ევროპის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა შარლ ჟელეკმა ძალიან მოიწონა იურმალის სტადიონი. ამიტომ არც ის არის გასაკვირი, რომ საერთაშორისო შეხვედრათა ორგანიზატორებს განზრახული აქვთ მომავალში სწორედ იურმალაში ჩაატარონ ან ჰელვეციუსის თასის გათამაშება (ევროპის ჩემპიონატი 16 წლამდე ასაკის გოგონებს შორის) ან შეჯიბრება ვალერიოს თასზე (ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკებისთვის 18 წლამდე).

● **როგორ გესახებათ საბჭოთა ჩოგბურთის მომავალი?**

— ერთგვარი უკან დახევის შემდეგ საბჭოთა ჩოგბურთი ისევ იკრებს ძალას. უკან დახევა გამოწვეული იყო თაობათა ცვლის პროცესით, სხვადასხვა სიძნელეებით, რასაც გუნდს უქმნის საუკეთესო სპორტსმენთა მონაწილეობა საერთაშორისო შეჯიბრებებში. ახლა მდგომარეობა თანდათან სწორდება. დიდი როლი შეასრულა იმანაც, რომ ჩოგბურთი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს.

დიდ იმედებს ვამყარებთ ახალგაზრდულ რეზერვზე. ესენი არიან: მოსკოველები ჩესნოკოვი და ოლხოვსკი, თბილისელი გაბრიჩიძე, კალინინგრადელი ვოლკოვი. სხვათა შორის, მონაკოელებთან მატჩისთვის საბჭოთა ნაკრებში მიწვეული იყო გაბრიჩიძეც, რომელიც სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას გადის ამ გუნდში და ახლა შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია. მალე იგი სხვა ახალგაზრდა ჩოგბურთელებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ვალერიოს თასის გათამაშებაში.

● **დასასრულ, კიდევ ერთი შეკითხვა: რას უსურვებდით ქართველ ჩოგბურთელებს?**

— ვუსურვებდი ნაყოფიერ მუშაობას, დიდ გამარჯვებებს ევროპულ ტურნირებში, საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე.

არტემ მალაიანცი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

სურათზე: იურმალის ცენტრალური კორტი.

ქალეიდოსკოპი

ავტორალი

სტარტზე გამოსული 73 მანქანიდან რუმინეთის მთიან გზებზე მდებარე 862-კილომეტრიანი ტრასის ფინიშთან მხოლოდ 30 ეკიპაჟი მივიდა.

საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა გამოცდა წარმატებით ჩააბარეს: ევროპის პირველობაზე ყველას აჯობეს საკლუბო გუნდების ჩათვლაში, პირველი ადგილი დაიკავეს ასევე საკლუბო გუნდების ჩათვლაში „მეგობრობის თასის“ პროგრამით და მეორენი იყვნენ ნაციონალურ ჩათვლაში, სადაც მხოლოდ ბულგარეთის გუნდს ჩამორჩნენ.

— ეს რალი ერთ-ერთ ურთულესად ითვლება ევროპაში და ჩვენი მრბოლელების წარმატება, რა თქმა უნდა, გვახარებს, — თქვა საბჭოთა ნაკრების მწვრთნელმა ვ. შჩაველევმა — გუნდის სამი ჩამთვლელი ეკიპაჟიდან ორი (ვ. ფილიმონოვი — მ. დეველი და ვ. შტიკოვი — მ. ტიტოვი) „მოსკვიჩ-2140 ლუქსი“ ავტომობილებით გამოდიოდა, ერთი კი (ი. ლავრონოვიჩი — ა. ნიელი) — „ვაზ“-2105-ით.

ჩვენს გუნდში ძირითადად ახალგაზრდა მრბოლელები არიან და ეს ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს. ახლა სპორტსმენები ემზადებიან ავტორალისთვის, რომელიც აგვისტოში ჩატარდება ფინეთში და მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპი იქნება.

კარტინგი

საბჭოთა კარტინგისტების დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების მრბოლელთა საერთაშორისო ასპარეზობის („მეგობრობის თასი“) II ეტაპი.

უკრაინის დოსააფის სპორტკომპლექსის სპეციალიზებულ ტრეკზე გამართულ პირად შეჯიბრებაში ყველა საპრიზო ადგილი საბჭოთა ნაკრების წევრებს ხვდათ. მათვე დაისაკუთრეს გუნდური გამარჯვება. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ლატვიელი აინარს ბერზინში, რომელმაც ოთხ სერიაში მხოლოდ 2 საჯარიმო ქულა მიიღო. მეორე ადგილზეა ასევე ლატვიელი სპორტსმენი რაიმონდს გიდრიკასი (4), მესამეზე — მოსკოველი მიხეილ რიაბჩიკოვი (9).

საბჭოთა ნაკრებს 15 საჯარიმო ქულა აქვს. შემდეგ მოდიან შარშანდელ ტურნირში გამარჯვებული ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენები (32). III ადგილზე არიან ბულგარელი მრბოლელები (57).

შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ეტაპი დარჩა.

წყალბურთი

ჰოლანდიის ქალაქ დორდრეხტში საბჭოთა ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც, გარდა ჩვენი სპორტსმენებისა, მონაწილეობდნენ ავსტრალიის, ჰოლანდიის, ესპანეთის, რუმინეთის, საფრანგეთისა და გფრ-ის გუნდები. საბჭოთა წყალბურთელებმა ყველა შეხვედრა მოიგეს და 12 ქულა დააგროვეს. მეორე ადგილზეა გფრ-ის ნაკრები (8), მესამეზე — ავსტრალიის გუნდი (8).

ფრენბურთი

მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში დაიწყო ფრენბურთელ ქალთა ნაკრები გუნდების მე-16 საერთაშორისო ტურნირი „ვარნის ზაფხული“.

ამ საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობენ ბელგიის, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, ჰოლანდიის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, პოლონეთის, სსრ კავშირის, საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები.

ასპარეზობის პირველ დღეს მოეწყო სსრ კავშირისა და პოლონეთის გუნდების შეხვედრა, რომელიც დამთავრდა ანგარიშით 3:0 საბჭოთა ფრენბურთელთა სასარგებლოდ.

ბულგარეთისა და საფრანგეთის სპორტსმენთა შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 3:1 მასპინძელთა—ბულგარელ სპორტსმენთა სასარგებლოდ,

ვარნაში მიმდინარე ამ მეტად საინტერესო შეჯიბრებაში 10 გუნდის 117 სპორტსმენი მონაწილეობს.

მოტორბოლა

ესტონეთში, ვილიანდის სარბიელზე ჩატარდა საბჭოთა კავშირის 37-ე ჩემპიონატი საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში. ტალინელმა ლემბიტ ტეესალუმ 250 კბ სმ მოცულობისძრავიანი სარბოლო მოტოციკლებით შეჯიბრებაში პირველი სერია მოიგო, მეორე სერიაში კი II ადგილი ხვდა. ამ წარმატებამ მას საშუალება მისცა ჩემპიონატის III ეტაპი მოეგო და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაეკავებინა.

50-იანების კლასში ყველას აჯობა რიგელმა ალექსანდრე სმერტიევმა. ასევე რიგელი რაიმონდს აიზსტრაუტსი პირველი იყო 125-იანების კლასში. 125 კბ სმ მოცულობისძრავიანი მოტოციკლებით ჭაბუკებს შორის ყველას აჯობა ვიგანტას პრეიკშამ, ხოლო 175-იანებით — კოსტას სავიცკასმა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ესტონეთის მრბოლელებმა.

ქალეიდოსკოპი

შეამოწმეთ ამოხსნა

„ლელოს“ 20 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული რეზო დადუნაშვილის (ქუთაისი) ეტიუდი ასე იხსნება: 1. ლg5+ (არ ვარგა 1. f4+ ან 1. ლh2+ და 1. ...მფ×e4-ის შემდეგ თეთრებს მოგება არა აქვთ) 1. ...მფe6 2. e5 (თუ 2. f4 ან 2. ლ×c5, 2. ...მფf7 და ყაიმი) 2. ...ე×f2 3. ლg1! ეa2 (აგებს 3. ...ეf3, 4. ლg4+; 3. ...ეf4 4. ლ×g6+ მფ×e7 5. ლg5+) 4. ლ×g6+ მფ×e7 5. ლf6+ (5. ლd6+? მფf7 6. ლf6+ მფg8 7. e6 ეa7. ყაიმი) 5. ...მფd7 6. ლd6+ მფc8 7. ლc6+ (ყაიმია .7. e6? ეg8 შემდეგ. არ ვარგა 7. ლ×c5+, რაც შემდეგ გამოჩნდება) 7. ...მფd8 8. e6 ეa7 (ქიშები ვერაფერს შველოდა: 8. ...ეa1+ 9. მფc2 ეa2+ 10. მფc3...) 9. ლb6+ ეc7 (თეთრები მე-7 სვლაზე c5 პაიკი რომ აეყვანათ, მაშინ შავები მე-9 სვლაზე ქიშით ტემპს მოიგებდნენ და აღარ წააგებდნენ) 10. ლb8+ ეc8 11. ლd6 მამათი.

* * *

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 11 ივლისი. ასკ-ს სტადიონი. **„იმედი“ (თბილისი) — „შევარდენი“ (თბილისი).** დასაწყისი 19 ს.

რედაქტორი ა. გოგელია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“ ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის. შ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
ИНДЕКС 66435
უე 09854